

დამტკიცებულია

თვე რუქიორის 2013 წლის 30 აპრილის N40/02 ბრძანებით

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი

1. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში წესრიგისა დაცვის მექანიზმებს ახორციელებს ადმინისტრაცია (ადმინისტრაციული სამსახური), რომელშიც დასაქმებულები არიან წესრიგის დაცვის მიზნით შესაბამისი პერსონალი (დაცვის თანამშრომლები).
2. ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალი მუშაობს 24 საათიან რეჟიმში და მოწოდებულია დაიცვას სტუდენტები, უნივერსიტეტში დასაქმებულები და უნივერსიტეტის ქონება, უზრუნველყოს უსაფრთხო და მშვიდი სამუშაო და სასწავლო გარემო.
3. ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალი (დაცვის თანამშრომლები) იდენტიფიცირდებიან სპეციალური სამკერდე ბეიჯით;
4. ადმინისტრაციის შესაბამის პერსონალს (დაცვის თანამშრომლებს) უფლება აქვთ შეამოწმონ პირის პირადობის მოწმობა, გამოიკითხონ მისი უნივერსიტეტთან კავშირის შესახებ ინფორმაცია, სათანადო ეჭვის ან აშკარა გარეგნული ნიშნების არსებობის შემთხვევაში მოსთხოვონ პირს გარკვეული მოქმედებების შესრულება, მაგალითად უნივერსიტეტის შენობის და ეზოს დატოვება, განსაკუთრებულ შემთხვევებში დაატოვებინონ შენობა ან მიიღონ ზომები წესრიგის დამრღვევი პირის სათანადო ორგანოებზე გადაცემისათვის.
5. უნივერსიტეტში მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციის შესაბამის პერსონალს (დაცვის თანამშრომლებს) უნივერსიტეტში მყოფი პირის მიერ სამართალდარღვევის, მათ შორის დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედების განხორციელების შესახებ. ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალი (დაცვის თანამშრომლები) ვალდებული არიან დაუკავშირდნენ სათანადო ორგანოებს და მათ მოსვლამდე უზრუნველყონ წესრიგის დაცვა და მტკიცებულებათა დაცულობა.
6. ადმინისტრაციის შესაბამის პერსონალს (დაცვის თანამშრომლებს) ევალებათ საგანგებო სიტუაციების დროს უხელმძღვანელონ შენობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაციის პროცესს. საგანგებო სიტუაციად განიხილება ნებისმიერი დაუმდლეველი ძალის ან ადამიანის მოქმედება, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან ქონებას.
7. თვე ს შენობაში დაშვება თავისუფალია თვე შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო დღეებსა და საათებში; ყველა პირი ვალდებულია დატოვოს შენობა სამუშაო საათების

დასრულებისთანავე. განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გასცეს სიტყვიერი ან წერილობითი მითითება აღნიშნული რეჟიმისაგან გამონაკლისების დაშვების თაობაზე. უნივერსიტეტის შენობიდან მატერიალური ფასეულობების (გარდა ბიბლიოთეკის ბალანსზე რიცხული ბეჭდური და სხვა მასალებისა) გატანა შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობით, რაც აღირიცხება სპეციალურ ქურნალში.

8. წესრიგის დაცვის, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და შრომის შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგის მიზნით, თჰუ უფლებამოსილია შემოიღოს უნივერსიტეტში შესვლის ელექტრონული საშვთა სისტემა;

9. წესრიგის დაცვისა და დარღვევათა პრევენციის მიზნით უნივერსიტეტის შენობასა და პერიმეტრზე მონტაჟდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემები. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების ჩანაწერები ინახება ადმინისტრაციის სპეციალურ (დაცვის) ოთახში და მათი მესამე პირებზე გადაცემა (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემისა) დაუშვებელია. დაუშვებელია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი აუდიტორიებსა და იმ ოთახებში, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. გამონაკლისია თჰუ ბიბლიოთეკა, სადაც ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მონტაჟი ხდება საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

10. აკრძალულია დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი, ადვილად აალებადი ან ცივი იარაღით შესვლა. თუ პირს აქვს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ოფიციალური უფლება, ის შენობის დატოვებამდე უნდა ჩააბაროს ადმინისტრაციის შესაბამის პერსონალს (დაცვის თანამშრომლებს).

11. აკრძალულია თჰუ–ს შენობაში თამბაქოს მოწევა. თამბაქოს მოწევა შესაძლებელია შენობის გარეთ, სპეციალურად მონიშნულ ადგილას.

12. აკრძალულია თჰუ–ს შენობასა და ეზოში ალკოჰოლის მიღება ან გადაადგილება ალკოჰოლის შემცველი ნივთიერებების გახსნილი კონტეინერით (ქილა, ბოთლი და სხვა); პირი, რომელიც იმყოფება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.

13. ამ მექანიზმის მე–10, მე–11 და მე–12 პუნქტების დარღვევა სტუდენტის ან უნივერსიტეტში დასაქმებულის მიერ, წარმოადგენს თჰუ–ს შინაგანაწესის დარღვევას და პირის მიმართ თჰუ–ს შინაგანაწესის შესაბამისად დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველია. თჰუ–ში სტუმრად მყოფი პირის მიერ ამ მექანიზმის მე–10, მე–11 და მე–12 პუნქტების დარღვევაზე რეაგირებას ახდენს ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალი (დაცვის თანამშრომელი), ამ მექანიზმის შესაბამისად.

14. ადმინისტრაციის შესაბამისი პერსონალი (დაცვის თანამშრომელი) ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და რექტორის წინაშე.

15. თბილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 24-საათიანი სასიგნალიზაციო დაცვის მიზნით აფორმებს ხელშეკრულებას დაცვის სპეციალურ სამსახურთან.